პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 111 (18653) შაბათი, 14 მაისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.



ზესტაფონის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის ქარხანა „საქკაბელში“ საექსპლოატაციოდ გადაეცეს ორი ნაკადური ხაზი, რომლებმაც შრომის ნაყოფიერება შვიდი პროცენტით გაზარდეს. ამასთან შესაძლებელი გახდა ორი ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვება.

ახლა საწარმოს კოლექტივი დაადგა ნარჩენების მთლიანად გამოყენების კურსს. ამ ნედლეულისაგან ამზადებენ შლანგებს ბადებისა და ბოხტენების მოსარწყავად, ელექტროსაგრძელებლებს, სხვადასხვა თოკებსა და ფართო მოხმარების სხვა ნაწარმს.

მარტო პირველ კვარტალში ამ მასალებისაგან, რომლებსაც წინათ ყრიდნენ, დამზადებულია 35 ათასი მანეთის პროდუქცია.

ხუსტაფონი: მოწინავე გადამბ. ვეფელი ლია კვირიკაძე.

ა. მაჯავარიანის ფოტო.

გავაუმჯობესოთ ეკონომიკის მართვა

ვენმა ეკონომიკამ ახლა განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, როცა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომი გაუმჯობესება. მართვას სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს წარმოების უზარმაზარი მასშტაბი, მზარდი ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ოთხი წლის წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ. მისი მთავარი მიზანია ავამაღლოთ დაგეგმვისა და მეურნეობის გაძლოლის დონე, შეეუსაბამოთ ისინი ახლანდელი ეტაპის, განვითარებული სოციალიზმის ეტაპის მოთხოვნებს.

ამ მნიშვნელოვან საკითხს ერთხელ კიდევ ხაზი გაესვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების ამასწინანდელ თათბირზე; კვლავ ითქვა, რომ საჭიროა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების ტენდენციას სტაბილური ხასიათი მიენიჭოს. ამას ისახავს მიზნად უკვე მიღებული და ამჟამად შემუშავებული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს დაგეგმვის გაუმჯობესებას, სამეურნეო მექანიზმის დახვეწას, ისეთი ეკონომიკური პირობების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფს შრომითი კოლექტივების დაინტერესებას პროდუქციის გამოშვების გადიდებითა და ხარისხის გაუმჯობესებით. მაშასადამე, მთელი სამმართველო და საგეგმო საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევას, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებას. ამიტომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წინაშე დასახულია ამოცანა უზრუნველყონ ყოველივე იმის რაციონალური გამოყენება, რაც აქვს სახალხო მეურნეობას.

შუა აპრილში გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად არსებული სიძნელეებისა მთლიანად უზრუნველყოფილია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შენონასწორებული, სტაბილური განვითარება. მაგრამ ეკონომიკაში შექმნილი ვითარება კვლავ დამაფიქრებელიაო. საქმე ის არის, განაცხადა მან, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე ნახევარზე მოდის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული წარმოების მატების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს კი გვაიძულებს ვიფიქროთ, თუ როგორ ვმართავთ ისეთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ კატეგორიას, როგორიც არის პროდუქციის თვითღირებულება, ვინაიდან საბოლოოდ სწორედ იგი ასახავს სანარმოს კოლექტივის მთელი სანარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს. პროდუქციის თვითღირებულების გაუხარელი შემცირება სოციალისტური წარმოების წესის კანონზომიერებაა, სადაც სამეურნეო მშენებლობის უცილობელი კანონია საზოგადოების ინტერესებისათვის ნაკლები დანახარჯებით უფრო მეტი შედეგების მიღწევა.

დიახ, სწორედ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაა სახალხო მეურნეობაში დაგროვების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი წყარო და მასთან ერთად სამრეწველო საქონლის გამოშვების მოცულობის მატების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

პარტია გვასწავლის, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება, მომჭირნეობა და ყაირათიანობა ყველაფერში, სოციალისტური დაგროვებისა და რენტაბელობის ზრდა მუდამ იყო და რჩება თითოეული სანარმოს მოქმედების კანონად. სწორედ ამ საკითხისადმი სერიოზულმა დამოკიდებულებამ, წარმოების მართვის სრულყოფამ საშუალება მისცა თბილისის სანარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ხელმძღვანელობას (გენერალური დირექტორი — ზ. ჩივაძე), მიუხედავად გაერთიანების შეთაური სანარმოს რეკონსტრუქციისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკური და საორგანიზაციო ხასიათის სირთულეებისა, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში პროდუქციის თვითღირებულება 8,9 პროცენტით შეემცირებინა. შესრულებულია აგრეთვე ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე გათვალისწინებული დანახარჯების გეგმაც. ნაცვლად საგეგმო 92,8 კაპიკისა ამ მაჩვენებელმა 80,3 კაპიკი შეადგინა. ამასთან უზრუნველყოფილია ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე ნავარაუდევი მატერიალური დანახარჯების ლიმიტიც. ყოველივე ამან გაერთიანების კოლექტივს საშუალება მისცა პროდუქციის თვითღირებულებისა და მატერიალური დანახარჯების შემცირებით მიეღო 1838 ათასი მანეთი ეკონომია, რამაც თავის მხრივ უზრუნველყო საგეგმო 1490 ათასი მანეთის ნაცვლად 1500 ათასი მანეთი მოგება.

უნარიანად მართავენ ეკონომიკურ მაჩვენებლებს „ჭიათურმანგანუმის“ სანარმოო გაერთიანებაში (გენერალური დირექტორი — მ. აფაქიძე). აქ პროდუქციის თვითღირებულებისა და მატერიალური დანახარჯების შემცირების შედეგად გასწიეს 485 ათასი მანეთის ეკონომია, რამაც განაპირობა საგეგმო 1800 ათასი მანეთის ნაცვლად 2003 ათასი მანეთის მოგების მიღება.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირო დაქვემდებარების 110 სანარმოდან და გაერთიანებიდან მარტო იანვარ-თებერვალში მოგების დავალება ვერ შეასრულა 22-მა, ანუ მთლიანი რაოდენობის 20 პროცენტმა. ისევე, როგორც გასულ წლებში, კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ამ მხრივ რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური ქარხნების, ზესტაფონის ფერშენდნობთა ქარხნის კოლექტივები. ამ პერიოდში მარტო ქიმიკოსებმა სახელმწიფოს 6,8 მილიონი მანეთი აზარალეს. „საელექტრომანქანის“ სანარმოო გაერთიანებამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დამზადებული სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება საგეგმოს 5,1 პროცენტით გადაამეტა. აქ ვერ შეძლეს აგრეთვე ლიმიტით განსაზღვრული ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე მატერიალური დანახარჯების დავალების შესრულებაც. შედეგიც სავალალო: სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გეგმასთან შედარებით გადახარჯულია 93 ათასი მანეთი, ხოლო მოგების დავალება 80,2 პროცენტით ძლივს შეასრულეს. ანალოგიური მდგომარეობა აქვს „საქქვანახშირის“ სანარმოო გაერთიანებას. მოგების ოთხი თვის გეგმას დიდძალი თანხა დააკლეს რესპუბლიკის მსუბუქი, კვების და მშენებლობის სამინისტროებმა.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები მიგვანიშნებს, რომ ზოგიერთი სამინისტროს და სანარმოს ხელმძღვანელნი ყოველდღიურად, ინტენსიურად არ მუშაობენ მოგების საგეგმო დავალებათა უზრუნველსაყოფად, უკეთეს შემთხვევაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს კმაყოფილდებიან მხოლოდ ამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლის შესრულების ამბის გაგებით.

მოგებისა და სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გეგმების შეუსრულებლობამ, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიულმა ნარჩენებმა განაპირობა რესპუბლიკის ბევრი სამინისტროს და უწყების, სანარმოს და გაერთიანების დაძაბული ფინანსური მდგომარეობა. სამწუხაროდ, სულ უფრო იზრდება ვადაგასული გადასახდელების მოცულობა, როგორც სამეურნეო ორგანოების ანგარიშსწორების, ისე ბანკის სესხის მიხედვით და 1983 წლის 1 მარტის მდგომარეობით შეადგინა 1295,2 მილიონი მანეთი, რაც 214,3 მილიონი მანეთით, ანუ 19,8 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის გადაუხდელ თანხას.

რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების სანარმოთა და გაერთიანებათა მუშაობის გაუმჯობესებას ხელი უნდა შეუწყოს იმ მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, რომლებიც სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შეფასების მეთოდიკაში მიმდინარე წლის 1 იანვრიდან შეიტანეს.

ახალი წესის თანახმად ზემდგომი სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან დროულად განსაზღვრონ და დაქვემდებარებულ სანარმოებსა და გაერთიანებებს გააცნონ წარმოების სრულყოფის (სანარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებისა და ათვისების, ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოების ათვისების, უსაფრთხოების ტექნიკისა და ა. შ.), გარემოს დაცვის და სხვა საგეგმო დავალებანი, ამასთან აღნიშნონ ამ მიზნებისათვის დანახარჯების ლიმიტი. მაგრამ, როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, რესპუბლიკის მეტი წილი სამინისტროები და უწყებები ჯერ კიდევ არ ასრულებენ სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვისადმი წაყენებულ ახალ მოთხოვნებს.

შიდა რეზერვების მობილიზაციის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ყოველმხრივი დაზოგვისათვის, სახალხო მეურნეობის პირველადს რგოლებში მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის პრაქტიკაში დანერგვის საფუძველზე რენტაბელობისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის საპროგრამო დოკუმენტი უნდა გახდეს სანარმოს ტექნიკურ-სამრეწველო-საფინანსო გეგმა. უკან დარჩა პირველი კვარტალი, მაგრამ სანარმოთა და სანარმოო გაერთიანებათა ხელმძღვანელების უმრავლესობას ჯერაც არ დაუმთავრებია მუშაობა მის შედეგებზე და არ წარუდგენიათ ისინი ზემდგომ სამეურნეო ორგანოებში.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ეფექტიანი მეურნეობრიობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საშემსრულებლო კულტურის მაღალ დონესთან, საგეგმო, სანარმოო და საფინანსო დისციპლინის ზუსტ დაცვასთან.

და როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე აღნიშნა, უნდა გაგრძელდეს მუშაობა სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად — დაძაბული დავალებანი უნდა შევასრულოთ მატერიალური დანახარჯებისა და შრომითი რესურსების შედარებით ნაკლები ზრდის პირობებში.

12 აპრილს გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე მთელი სერიოზულობით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ყოველდღიურ ამოცანად უნდა მიიჩნევდნენ ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის შემდგომ გაუმჯობესებას, მეურნეობრიობის სტილისა და მეთოდების დახვეწას; შეუფოთებას ინვევს ზოგიერთი სამინისტროს, გაერთიანებისა და სანარმოს საფინანსო მდგომარეობა, რომელიც შესანელასა და სათანადო დასკვნას იმსახურებს. უფრო მკაცრად უნდა მოვეკიდოთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ასორტიმენტის გაფართოებისა და მონოდებათა დისციპლინის განმტკიცების საქმეს.

ეჭვი არ არის, რომ ინდუსტრიული საქართველოს მშრომელები თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას არ დაიკლებენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილა მაისში სსრ კავშირში ამხ. ე. ჰონეკერის მეთაურობით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოიწონა ამხ. ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან და აღნიშნა, რომ მეგობრული ვიზიტი, ორი მოძმე პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელთა საუბრები და შეხვედრები ხელს შეუწყობს პარტიული, სახელმწიფო, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმ მჭიდრო და მტკიცე ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებასა და განვითარებას, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები. ეს ურთიერთობა ორივე ქვეყანაში სოციალისტური, კომუნისტური მშენებლობის, სოციალისტური სახელმწიფოების თანამეგობრობის გაძლიერების, ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ამოცანათა გადაწყვეტის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენი ქვეყნების მუშური თანამშრომლობის მამოძრავებელი ძალაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საბრძოლო ერთიანობა, მათი ურთიერთმოქმედება, რომელიც განმსჭვალულია ამხანაგური ნდობითა და ანასიათებს ერთნაირი შეხედულებანი თანამედროვეობის ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხზე.

მომავე პარტიებისა და სახელმწიფოების ასეთი ერთიანობა, სოციალისტური ქვეყნების ერთობლივი ბრძოლა საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის, განიარაღებისა და მშვიდობისათვის პოლიტიკური და სამხედრო კონფრონტაციის, გამალებული შეიარაღების გაძლიერების იმპერიალისტური კურსის რეალური ალტერნატივაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს ამხ. ა. ა. გრომიკოს ინფორმაცია ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრთან ხ. სამბრანოსთან მისი საუბრის შესახებ.

სხდომაზე მოისმინეს ამხ. პ. ნ. დემიჩევის ინფორმაცია მიმდინარე წლის აპრილში მოზამბიკში ფრელიმოს პარტიის IV ყრილობის მუშაობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მონაწილეობის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა აგრეთვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის მფელი რიგი სხვა საკითხები.

დისციპლინა: პასუხისმგებლობისა და ინიციატივის ერთიანობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომა

ხუთწლედის მესამე წლის დამდეგს რესპუბლიკის ეკონომიკის წარმატებულმა სტარტმა უზრუნველყო იანვარ-აპრილში სახალხო მეურნეობის ყველა ქვეგანაყოფის სტაბილური მუშაობა. მთლიანად მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ, სხვა დარგებმა არცთუ ურგოდ გაართვეს თავი სახელმწიფო დავალებებს, — ასეთია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომის მონაწილეთა შეფასება, რომელებმაც განიხილეს მიმდინარე წლის ოთხი თვის მანძილზე საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, რომელმაც თავის მოხსენებაში საფუძვლიანად დაანალიზა რესპუბლიკის ეკონომიკის საქმის ვითარება, დახასა სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შემდგომი განვითარების კონკრეტული პერსპექტივები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჭითანავა, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ვ. ა. პატეშვილი.

გაფართოებული სხდომის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

გაფართოებული სხდომის მონაწილეებისათვის საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ციფრები მოწმობს რესპუბლიკის ეკონომიკის ყველა დარგის დაჩქარებულ განვითარებას. ოთხი თვის მანძილზე სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 105,5 პროცენტი შეადგინა. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის დავალება შესრულდა 102,4 პროცენტით, გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 90 მილიონ მანეთისაზე მეტი ნაწარმი. მყარ მაჩვენებლებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. მნიშვნელოვნად, პირველი მაისისათვის დამზადებულია 39 ათასი ტონა ხორცი, ოროკა ნახევარი წლის გეგმა 55,7 ათას ტონას ითვალისწინებს. ეს ექვსი თვის დავალების 70 პროცენტს შეადგენს და ხუთი პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის შესყიდვის მოცულობას. პინდვრებისა და პლანტაციების მშრომელებმა საიმედო საფუძველი ჩაუყარეს წლევანდელ მოსავალს.

გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს და შეაფასეს წარმატებანი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ნაკლოვანებებს, გადაუჭრელ პრობლემებს, ერთობლივად შეიმუშავეს მათი დაძლევის რეკომენდაციები.

მრეწველობის მუშაობის მთლიანად წარმატებული მაჩვენებლების მიუხედავად პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებას იანვარ-აპრილში თავი ვერ გაართვა 117 საწარმომ — 29-ით მეტმა, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, რის გამო სახელმწიფოს დააკლდა თითქმის 32 მილიონი მანეთის პროდუქცია. ასეთი ვითარება ნიშნავს, რომ მოწინავე საწარმოებს და — დაფარონ ჩამორჩენილი შრომითი კოლექტივების „ვალი“. სწორედ ამიტომ კვლავ პრინციპულად, მწვავედ დადგა საკითხი, რომ ხელმძღვანელები პასუხს უნდა აგებდნენ დავალებული საქმისათვის, გაბედულად, ინიციატივიანად წყვეტდნენ წამოჭრილ პრობლემებს. ნაკლოვანებათა კონსტატაციიდან გადავიდეთ მათი დაძლევის კონკრეტულ ღონისძიებებზე: ასეთი მოთხოვნა წამოაყენეს გაფართოებულ სხდომაზე.

განსახილველ პერიოდში დაისახა ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ხვედრითი წილის მაჩვენებელთა გაუარესების ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად რესპუბლიკაში შედეგები დადებითია, საკავშირო დაქვემდებარების ცალკეული სამინისტროები, უწყებები და დიდი საწარმოები ჩამორჩებიან დადგენილ საშუალო წლიურ დონეს. ეს არის მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროები, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი და საყოფაცხოვრებო მანქანების ქარხნები, ქარხანა „სოხუმელისაწყო“, ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“, რუსთავის ქიმიური ბოჭკოსა“ და ამწესაშენებელი, ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებლების ქარხნები, ქარხანა „ელექტროაპარატი“, მთელი რიგი სხვა ქარხნები. ყოველივე ეს ჩაშლის საფრთხეს უქმნის ვალდებულების შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე წელს მილიარდ 550 მილიონი მანეთის უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქციის გამოშვებას.

ხარისხის საკითხები მჭიდროდ უკავშირდება ასორტიმენტის, სახელშეკრულებო დისციპლინის პრობლემებს. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში უარესდება ნაწარმის ხარისხი იმის გამო, რომ საკმარის მუშაობას არ ეწევიან მოწყობილობის შეცვლისა და ტექნოლოგიური პროცესების განახლებისათვის. ამის შედეგად დღეს საწარმოში უმძიმრაოდ დევს 40 ათასი ტონა ნაგლინი და მილები, რომლებიც დამზადებულია შემკვეთების მოთხოვნათა დარღვევით. მომხმარებლისათვის ამ უვარგისმა პროდუქციამ, ხოლო უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მასობრივმა წუნმა სერიოზული სირთულეები შეუქმნა ტიუმენელ მენავთობეებს.

მიწოდების ჩაშლის მოყვანილი ფაქტი ერთადერთი როდია. გაფართოებულ სხდომაზე მოიყვანეს სახელშეკრულებო დისციპლინის უხეში დარღვევის ბევრი ფაქტი. რესპუბლიკის სახმომაროგების მიუთითეს, რომ მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესოს მიწოდებას, უფრო ზუსტად შეათანხმოს სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების ლონისძიებანი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

ადგილობრივი პარტიული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოები, პროფკავშირები დღეიდან უნდა უთმობდნენ ყურადღებას სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას, ამ დარგში დისციპლინის დამყარებას, ისევე როგორც სამეურნეო ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის ყოველმხრივ განმტკიცებას.

ამ დროს კი ბევრი სანარმოსა და ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა უარესდება. რესპუბლიკის მრეწველობაში მოგება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9,3 მილიონი მანეთით შემცირდა. ამ მაჩვენებლის მიხედვით დავალება მთლიანად ვერ შესრულდა და ზეგეგმითი ზარალი განიცადა 16 რესპუბლიკურმა სამინისტრომ და უწყებამ, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების 16 საწარმომ და ორგანიზაციამ. 7,5 მილიონ მანეთზე მეტი დააკლდა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, 1800 ათას მანეთზე მეტი — კვების მრეწველობის სამინისტროს.

ზოგჯერ პარადოქსული სიტუაცია იქმნება: საწარმო იღებს დაგეგმილ მოგებას, მაგრამ იმის გამო, რომ სისტემატურად აღვევდა სახელშეკრულებო მიწოდებას, იძულებულია თითქმის მთლიანად დაარჯოს ეს მოგება ჯარიმების, პენიის, განსხვავების გადასახდელად. მაგალითად, ქუთაისის რეზინ-ტექნიკური ნაწარმის ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების დავალება, მაგრამ საჯარიმო სანქციების გადახდის შედეგად სპბალანსო მოგების გეგმა სულ 98,4 პროცენტით შეასრულა. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა თბილისის სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში, მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

ხარისხი, მიწოდება, ფინანსები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ეკონომიკური კატეგორიებია, და ძირითადი პრობლემები და ნაკლოვანებანი მათს შესაყარზე იჩენს თავს. ხშირად მდგომარეობას ართულებს საქმისადმი ვიწროუწყვეტრივი მიდგომაც. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ერთობლივ სხდომებზე შემუშავებული საერბოროტო პრობლემების ურთიერთხელსაყრელ გადაწყვეტებს ზნიშვნელოვანი ეფექტი მოაქვს. ამ მხრივ თვალსაჩინოა ლენტების რაიონის მაგალითი, სადაც პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები ერთად, კოლეგიურად წყვეტენ რთულ ამოცანებს. საქმის ასეთი დაყენების შედეგი გახდა მთის რეგიონის განვითარების ეკონომიკური და სოციალურ მაჩვენებელთა მნიშვნელოვანი ეფექტი მოაქვს. ამ მხრივ თვალსაჩინოა ლენტების რაიონის მაგალითი, სადაც პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები ერთად, კოლეგიურად წყვეტენ რთულ ამოცანებს. საქმის ასეთი დაყენების შედეგი გახდა მთის რეგიონის განვითარების ეკონომიკური და სოციალურ მაჩვენებელთა მნიშვნელოვანი ეფექტი მოაქვს. ამ მხრივ თვალსაჩინოა ლენტების რაიონის მაგალითი, სადაც პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები ერთად, კოლეგიურად წყვეტენ რთულ ამოცანებს. საქმის ასეთი დაყენების შედეგი გახდა მთის რეგიონის განვითარების ეკონომიკური და სოციალურ

ზოგჯერ ასეთ ვითარებაში ინიციატივა ეკარგებოდა ადგილობრივ ეკონომიკურ ორგანოებს, ეკარგებოდა ინიციატივა, ელოდებოდნენ ზემდგომ ორგანოებისგან ინსტრუქციებს, ანმობებს, ბრძანებებს. ეს ასეთ ვითარებაში ინიციატივა ეკარგებოდა ადგილობრივ ეკონომიკურ ორგანოებს

საქმიანობის მაღალი შეფასება მომავალ მიღწევათა სტიმულია

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის პ. გ. ეგოროვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, გულითადი მადლობა მოგახსენოთ, რომ მომიწვიეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის იუბილეს დღესასწაულში მონაწილეობისათვის.

ნება მიბოძეთ, აგრეთვე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექციის, მთელი კოლექტივის სახელით მხურვალედ მივულოცო ქართველ კოლეგებს, ყველა თქვენგანს ინსტიტუტის შრომის წთელი დროშის ორდენით დაჯილდოვება, რომელიც დღეს გადმოგცეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ.

მთავრობის სპეციალური ჯილდო, რა თქმა უნდა, ინსტიტუტის ახლანდელი კოლექტივის მიერ გაწეული დიდი და წარმატებული მუშაობის აღიარებაა. ამავე დროს ამ მაღალი ჯილდოთი აისახა საქართველოს კომუნისტური პარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი სახელოვანი რაზმის იდეოლოგიური ფრონტის აქტიურ მებრძოლთა მრავალი თაობის დამსახურება, რომელმაც მთელ ჩვენს ლენინურ პარტიასთან, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბრძოლისა და უდიდესი მიღწევების გმირული გზა განვლო.

ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ ინსტიტუტის შექმნაში უშუალოდ მონაწილეობდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწენი — მ. გ. ცხაკაია, ფ. ი. მახარაძე, გ. კ. ორჯონიკიძე, მ. ფ. ორახელაშვილი, ბევრი სხვა თვალსაჩინო მეცნიერი და ნიჭიერი ორგანიზატორი.

ეი, რატომ არის, რომ, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის იუბილეს ვზეიმობთ, ჩვენ უდიდესი მადლიერების გრძნობით მივაგებთ პატივს მარქსისტულ-ლენინური იდეალების გამარჯვებისათვის მებრძოლთა ყველა თაობას, ყველა რეგოლუციონერ-პატრიოტს, თვალსაჩინო მეცნიერს, არქივების შემკრებებსა და მცველებს, ყველა იმათ, ვინც საქართველოში პარტიის ისტორიის მეცნიერების სათავეებთან იდგა, ყველას, ვინც წარმატებით ავითარებდა და აკეთებენ მას ამჟამად, მთელ თავის საქმიანობაში თანამიმდევრულად ახორციელებს კომუნისტური პარტიულობის, პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს.

სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ ინსტიტუტის მუშაკთა დიდი ჯგუფის ნაყოფიერი შრომა მის იუბილესთან დაკავშირებით აღინიშნა რესპუბლიკის სიმაღლეზე. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიტყვა.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, გულითადად მივულოცო ინსტიტუტის თანამშრომლებს ეს მაღალი ჯილდოები და ვუსურვო მათ, ინსტიტუტის მთელ კოლექტივს ახალი შემოქმედებითი მიღწევები, ახალი წარმატებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი მებრძოლი რაზმის — საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გამოცდილებისა და ისტორიული გზის შესწავლის, განზოგადებისა და პროპაგანდის კეთილშობილურ საქმეში.

ვემშადებით რა პირნათლად შეეხვდეთ ოქტომბრის თარიღს ჩვენი სამშობლოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში — რსდმპ II ყრილობის 80 წლისთავს, ჩვენი სახელოვანი ლენინური პარტიის 80 წლისთავს, საფუძვლიანი სიამაყით ვაჯამებთ მისი ტიტანური საქმიანობის შედეგებს, რომელსაც შეშრეტად მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს და რომელიც დამაჯერებლად მოწმობს მისი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული პრინციპების ყოვლისმძლე ძალას.

სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საბჭოთა ადამიანების მიერ დაპყრობილი თითოეული მიჯნა ახალი ცხოვრების შენებლობის გაფაკაკალავ გზაზე, ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ყველა ისტორიული გამარჯვება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ყველა მისი რაზმის უდიდესი რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის შედეგია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი მებრძოლი რაზმების ისტორიული გამოცდილების შესწავლა, განზოგადება, პროპაგანდა უაღრესად დიდი მნიშვნელობის ამოცანაა. წინ ვერ ვიარეთ, თუ არ ვიცით, არ ვითვალისწინებთ იმას, რაც უკვე გაკეთდა, განხორციელდა.

ჩვენ, საბჭოთა კომუნისტები, მტკიცედ ვდგავართ მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების ნიადაგზე, უარვყოფთ დოგმატიზმს, გაქვავებული სქემების მიმდევრობას. ამავე დროს მიგვაჩნია, რომ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შემოქმედებითი განვითარება ხდება არა მარქსის, ენგელსის, ლენინის მიერ აღმოჩენილი და პრაქტიკით დადასტურებული პრინციპების გვერდის ავლით, არამედ მათ მტკიცე საძირკველზე, მათს ურყევ საფუძველზე.

ხელმძღვანელობს რა ამით, ჩვენი პარტია თავისი ისტორიის ყველა ეტაპზე შეუნელებელ ყურადღებას უთმობდა და უთმობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა დიადი იდეური მემკვიდრეობის შეგროვებას, დაცვას, მეცნიერულ დამუშავებას, შემოქმედებითს განვითარებასა და ფართო პროპაგანდას. და იქვე არ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა თავისი არსებობის მანძილზე საკმაო წვლილი შეიტანა ამ მნიშვნელოვან საერთო-პარტიულ საქმიანობაში.

მისი მრავალი წლის შეუპოვარი შრომის შედეგად ქართველ ხალხს ახლა აქვს მარქსის, ენგელსისა და ლენინის ყველა ძირითადი ნაწარმოების თარგმანები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარებისათვის, სოციალისტური კულტურის დამკვიდრებისათვის, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის სულისკვეთებით მასების აღზრდისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქართველოში განხორციელდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებისა და თემატიკური კრებულების 432 გამოცემა. 1923 წლიდან დღემდე ქართულ ენაზე გამოცემული მათი ნაშრომებების საერთო ტირაჟი ოთხ მილიონს აღემატება. და მთავრდა, როგორც ცნობილია, ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის თარგმნა, დამთავრდა ქართულ ენაზე მის თხზულებათა სრული კრებულის თარგმნაც.

ინსტიტუტმა დიდი შუშაობა გასწია ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისათვის. დაიწერა მთელი რიგი მონოგრაფიები, რომლებშიც გაშუქებულია, თუ როგორ ხელმძღვანელობდა ლენინი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლას, როგორ ისხამს ხორცს მის მიერ შემოქმედებული სოციალისტური მშენებლობის პროგრამა. ამ ნაშრომებში ფართოდ არის გამოყენებული საარქივო დოკუმენტები, მოვლენათა მონაწილეების მოგონებანი.

ერთი სიტყვით, საქართველოში მარქსიზმ-ლენინიზმის წყაროთა ბაზა განუწყვეტლივ ფართოვდება და მდიდრდება.

მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე, ფრიად მნიშვნელოვანი, ის არის, რომ წარმოვაჩინოთ და ავხსნათ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი ძალა ჩვენს დროში, თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინებით.

პარტიის ისტორიის მეცნიერება აქაც არ არის გამონაკლისი. პირიქით, იგი თავისი არსით მოწოდებულია გააშუქოს მთელი სიმდიდრითა და მრავალმხრივობით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილება. — მისი ყველა რაზმის, მისი ყველა ადგილობრივი ორგანიზაციის საქმიანობის ერთიანობით — გააშუქოს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების, მათ შორის უკანასკნელი დროის ფაქტებისა და მოვლენების შემეცნების მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის გამოყენების საფუძველზე, ხოლო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, მის სტრატეგიასა და ტაქტიკას რომ ამაქციებს, პარტიის ისტორიის მეცნიერებას შეუძლია და კიდევაც უნდა შეუწყოს ხელი მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის დამუშავებასა და გამდიდრებას თანამედროვე ისტორიული გამოცდილების, მისი ღრმა შეცნობისა. და ახსნის საფუძველზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა ბევრი რამ გააკეთა და აკეთებს იმ ისტორიული გამოცდილების გაშუქებისათვის, რომელიც საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ შეიძინა კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის ბრძოლის საერთო კალაპოტში, თანამედროვე პირობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის პროპაგანდისათვის.

საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების შექმნა იყო დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი ამ გზაზე, დიდი მოვლენა რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის იდეურ ცხოვრებაში. „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებმა", შეიძლება ითქვას დასაბამი მისცა ქართველ კომუნისტთა მრავალმხრივი საქმიანობის აქტუალური პრობლემების გაღრმავებულ, სისტემურ დამუშავებას, მათი მდიდარი გამოცდილების ანალიზსა და განზოგადებას.

შარშან გამოქვეყნდა „ნარკვევების" ახალი, მნიშვნელოვნად გადამუშავებული პირველი ნაწილი, ხოლო ამ თვეში მკითხველები მიიღებენ მათ მეორე ნაწილს.

გამოვიდა I და IV ტომები ნაშრომისა „საქართველოს კომუნისტური პარტია ყრილობებსა, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში". მეოთხე ტომი, როგორც ცნობილია, შეიცავს 1972-1980 წლების დიდმნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტებს.

საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება დაიმსახურა „კომკავშირის ისტორიის ნარკვევებმა", აგრეთვე საქართველოს პროფესიული კავშირების ისტორიის ნარკვევებმა, ინსტიტუტის თანამშრომლთა ბეჭრმა მონოგრაფიამ.

გასსაკუთრებით ნაყოფიერია ინსტიტუტის საქმიანობა პარტიის ისტორიის კვლევის დარგში. უკანასკნელ ათწლეულის მანძილზე, შესაძლებლობის ფარგლებში, მეცნიერული ანალიზი ეკონომიკის, მეცნიერული სოციალური ცხოვრების, კულტურის განვითარებაში, ბევრი რამ გაკეთდა ნაკლოვანებათა, ნეგატიური მოვლენათა დაძლევისათვის. უძრაობის, წარსულის ინერციის, კომუნისტური მორალის ყველა და ყოველგვარი ანტიპოდის წინააღმდეგ ბრძოლაში რესპუბლიკაში განმტკიცდა საწარმოო, შრომისა და ზნეობრივი დისციპლინა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა რგოლში, გაიშალა მშრომელთა ინიციატივა. საქართველოს კომუნისტების, მეფი ქართველი ხალხის უდიდესი მეცადინეობით მოპოვებული ეს გამოცდილება, როგორც ცნობილია, მოიწონა სკკპ XXVI ყრილობამ და გასცოლდა რესპუბლიკის ფარგლებს. და თუმცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით ჯერ კიდევ დიდი, ძალიან დიდი მუშაობა მოგვიწევს, ერთი რამ უდავოა: მისი გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის საქართველოში მომზადებულია კარგი ნიადაგი, რომელზეც იზრდება და მტკიცდება მასების აქტიურობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განუწყვეტლივ მდიდრდება მათი სოციალური გამოცდილება. ეს გამოცდილება კი უშრეტი შემოქმედებითი აზრის, მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარების წყარო და საფუძველია.

მეორე, საქართველოს კომპარტიის (ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტს მზრუნველობას არ აკლებენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მისი (ცენტრალური კომიტეტი, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე. იგი ყოველთვის და ღრმად სწვდება ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ახლანდელი კრებაც მოწმობს, თუ რა უდიდეს ყურადღებას უთმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საკითხებს, რესპუბლიკაში პარტიის ისტორიის მეცნიერების განვითარებას.

მესამე, საქართველოს კომპარტიის (ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტს ჰყავს მცოდნე, გამოცდილი კადრები. აქ ახლა მუშაობს 38 მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის 12 მეცნიერებათა დოქტორი და 9 კანდიდატი. ეს დიდი ძალაა, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს მეცნიერული შემეცნებისა და პრაქტიკის დიდი პრობლემები, იგი ინსტიტუტის მიღწევათა საფუძველიც არის, და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ისტორიის, პარტიული მშენებლობის, მეცნიერული კომუნიზმის თეორიის დარგში მეცნიერულ გამოკვლევათა ხარისხისა და ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საწინდარი, პირობაც არის.

რა თქმა უნდა, საქართველოს კომპარტიის (ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტს მზრუნველობას არ აკლებენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მისი (ცენტრალური კომიტეტი, პირადად სკკპ (ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური (კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე. იგი ყოველთვის და ღრმად სწვდება ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ახლანდელი კრებაც მოწმობს, თუ რა უდიდეს ყურადღებას უთმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საკითხებს, რესპუბლიკაში პარტიის ისტორიის მეცნიერების განვითარებას.

მესამე, საქართველოს კომპარტიის (ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტს ჰყავს მცოდნე, გამოცდილი კადრები. აქ ახლა მუშაობს 38 მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის 12 მეცნიერებათა დოქტორი და 9 კანდიდატი. ეს დიდი ძალაა, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს მეცნიერული შემეცნებისა და პრაქტიკის დიდი პრობლემები, იგი ინსტიტუტის მიღწევათა საფუძველიც არის, და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ისტორიის, პარტიული მშენებლობის, მეცნიერული კომუნიზმის თეორიის დარგში მეცნიერულ გამოკვლევათა ხარისხისა და ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საწინდარი, პირობაც არის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის

კოლექტივისათვის ზრუნვის წითელი დროშის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო

სხდომაზე 1983 წლის 11 მაისს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

(დასასრული)

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ს. ნ. ომაშევმა, კრასნოიარსკის მხარის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. თ. ტატარჩურკმა და ვორონეჟის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მ. ვორონაევმა.

მიღებულ დადგენილებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ მიიჩნია, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი ორგანოები დღენიადაგ უთმობდნენ ყურადღებას სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობასადმი ხელმძღვანელობის სრულყოფას, გაამლეონენ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა, რომლის მიზანია პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელება, 1983 წლისა და მოლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის შესრულება.

სახალხო დეპუტატთა საბჭოებს წინადადება მიეცათ უფრო სრულად გამოიყენონ უფლებები, რომლებიც მათ მიანიჭა სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ, რათა უზრუნველყონ შესაბამის ტერიტორიაზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარება, კოორდინაცია გაუწიონ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის საქმიანობას, არ დაუშვან კუთხურობა, განუზრელად დაიცვან საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები. სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა მიიღონ სახალხო მეურნეობის დარგობრივი და ტერიტორიული მართვის შეწონასწორება, გეგმების განხილვისა და შეთანხმების დადგენილი წესის მკაცრ დაცვას, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი შრომითს კოლექტივებს დავალებებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაში.

მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს რეკომენდაცია მიეცათ რეგულარულად განიხილონ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობაში საბჭოების როლის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, განსაკუთრებული ზრუნვა გამოიჩინონ აგროსამეწყვეო გაერთიანებებისათვის, გაუწიონ მათ ყოველმხრივი დახმარება სასურსათო პროგრამის შესრულებაში.

შესაბამისი დავალებები მიეცათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს.

შემდეგ პრეზიდიუმმა განიხილა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში ბაშკირეთის ასსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საკითხი. ბაშკირეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თ. ვ. სულტანოვის ინფორმაციაში გაანალიზებულია მოსახლეობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობა. დეპუტატმა მ. მ. გალეევმა, რომელიც მონაწილეობდა ამ საკითხის მომზადებაში, ბაშკირეთის ასსრ დიუტიტულინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების, კოლმეურნეობა „უნიშის" გამგეობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაგალითზე, რომლის თავმჯდომარეც იგი არის, ილაპარაკა მოსახლეობაში მუშაობის ფორმებზე და მეთოდებზე, ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. თ. ვატჩენკომ და ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ს. ბარკაუსკასმა თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უკრაინისა და ლიტვის საბჭოების მუშაობის გაძლიერების შესახებ. მოსახლეობაში საბჭოების მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა სკკპ ბამკრეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა მ. ზ. შაქიროვმა.

მიღებულ დადგენილებაში ბაშკირეთის ასსრ უმაღლესს საბჭოს პრეზიდიუმს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაეგალათ უზრუნველყონ შემეცნილი გამოცდილების გათვალისწინებით საცხოვრებელი ადგილის მოსახლეობაში მუშაობის შემდგომი სრულყოფა, მიაღწიონ, რომ მშრომელები აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ყურადღება მიეპყრო იმას, რომ უნდა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის, დაუქვემდებარონ იგი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების რეალიზაციაში მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევას; დიენიადაგ აძლიერებდნენ ღონისძიებათა იდეურობას, მეტი ყურადღება დაუთმონ პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს.

საჭიროდ ცნეს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივობის მთელი მეცადინეობა მოახმარონ დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, გადაჭრით გააკეთონ ბრძოლა ლოთობის, მუქთახორობისა და ხულიგნობის, სხვა ანტისაზოგადოებრივი ბოროტებანი ფინანსდეს, მტკიცედ გაუმკლავდნენ მუშაობა არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის.

სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის სპაიერო კოდექსის პროექტი. ინფორმაცია ამ საკითხზე გააკეთა სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრმა ბ. პ. ბუგაევმა. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიებისა და საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების სხელეთ, რომლებსაც დასკვნისათვის გადაეცათ პროექტი, გამოვიდა კავშირის საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის თავმჯდომარე ი. ე. კლიმენკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სსრ კავშირის საჰაერო კოდექსის დამტკიცების შესახებ. პალატების მუდმივი კომისიებს მიერ შეტანილი შესწორებებისა და დაზუსტებების გათვალისწინებით.

სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

დღის წესრიგის საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ბ. ვ. გრიშინი და გ. ვ. რომანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. (საკ.ფორმი).

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

რესპუბლიკის ასს რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქსა და ქალაქებში 1983 წლის იანვარ-აპრილში მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლების გეგმის შესრულების შესახებ

	პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება	სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულება	1983 წლის იანვარ-აპრილი პროცენტებით 1982 წლის იანვარ-აპრილთან შედარებით		ხარისხს უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წილი პროდუქციის საერთო ღირებულებაში პროცენტებით
			წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება	
სულ რესპუბლიკაში	102,4	103,0	105,5	104,4	15,2
აფხაზეთის ასსრ	103,9	104,8	108,7	109,6	5,0
აჭარის ასსრ	103,1	104,0	105,8	105,2	23,9
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	102,2	106,4	107,4	103,2	13,6
ქალაქები:					
თბილისი	102,3	102,1	108,5	107,5	16,1
სოხუმი	104,9	105,7	106,4	108,0	9,3
ბათუმი	103,1	103,9	104,0	103,4	25,7
ცხინვალი	102,7	106,0	110,0	105,1	14,5
ქუთაისი	101,9	102,2	103,1	102,9	34,6
რუსთავი	98,8	101,3	106,9	106,1	23,3
ფოთი	119,8	120,1	113,6	113,6	7,1
გორი	103,6	101,8	102,9	103,8	22,7
ზუგდიდი	104,2	103,9	103,3	103,1	6,6
მარტყოფი	101,1	104,7	107,1	105,8	43,7
ტყიბული	104,9	106,3	100,3	100,5	6,6
გაგრა	97,1	102,4	110,9	113,4	0,6
წყალტუბო	107,2	103,3	132,0	125,8	10,8
ტყვარჩელი	106,6	103,4	96,4	100,0	5,0

როგორც ცხრილიდან ჩანს, სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმები იანვარ-აპრილში შეასრულა რესპუბლიკის ქალაქების უმეტესობამ რუსთავისა და გაგრის გარდა. სახალხო პროდუქციის გეგმის შესრულებას თავი გაართვა რესპუბლიკის ყველა ავტონომიურმა ერთეულმა და ქალაქმა. შემცირდა წარმოების მოცულობა შარშანდელ იანვარ-აპრილთან შედარებით ტყვარჩელში.

მცირეა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი წარმოების საერთო მოცულობაში აფხაზეთის ასსრ, ქალაქების გაგრის, ტყვარჩელის, ტყიბულის და ფოთის საწარმოებში.

იმ ქალაქების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა, სადაც დაშვებულია ჩამორჩენა, საჭიროა სასწრაფო ღონისძიებები განახორციელონ მისი აღმოფხვრისათვის, ხოლო სხვა ქალაქებისა — დაიჩქარონ საბუშაოთა ტემპი, რათა უზრუნველყონ სახელმწიფო დავალებათა შესრულება მთლიანად რესპუბლიკაში. (საქინფორმი).

მიეძღვნა რსდმპ II ყრილობას

თბილისის ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალში გაიხსნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. „ყრილობამ დაამთავრა, — ნათქვამია ამ შესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიერ შემუშავებულ იდეურ, პოლიტიკურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე რუსეთის რევოლუციური მარქსისტული ორგანიზაციების გაერთიანების პროცესი. ისტორიულ ასპარეზზე გამოვიდა ახალი ტიპის პარტია — მუშათა კლასის პარტია, მეცნიერული კომუნიზმის პარტია, სოციალისტური რევოლუციის და კომუნისტური აღმშენებლობის პარტია".

გამოფენაზე წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები, დოკუმენტები პარტიის შექმნის ისტორიული მატიანიდან, ფოტოექსპოზიციები, სურათები, რომლებიც წარმოსახავს ჩვენი პარტიის მიერ მისი დამაარსებლისა და ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ხელმძღვანელობით განვლილ სახელოვან გზას: ფოტოექსპოზიცია „ლენინი მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის პეტერბურგის კავშირის წევრებს შორის", და აქვეა პოლიციის დეპარტამენტში თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს პატაკი პეტერბურგის „კავშირისადმი ბძოლეული სოციალ-დემოკრატების მიმართვასთან დაკავშირებით; მინსკში 1898 წელს რსდმპ I ყრილობაზე მიღებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მანიფესტი, და ფოტოპირი მხატვარ ი. ვეფხვიძის სურათისა „თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა გაფიცვა 1905 წლის აგვისტოში, გაზეთი „ბრძოლა" — პირველი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი ამიერკავკასიაში და ვ. ი. ლენინის ცნობილი მიმართვა ამიერკავკასიაში მისი გამომცემლის რსდმპ საკავშირო კომიტეტისადმი.

, გამოფენაზე თანამიმდევრულად არის გაშუქებული ვ. ი. ლენინის მიერ პარტიის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემუშავებისა და მისი განხორციელების ძირითადი ეტაპები, რომელმაც არა მარტო გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის ბედზე, არამედ ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობა.

გამოფენილი მასალები თითქოს აერთიანებენ ლენინის გულშიჩამწვდომ სიტყვებს: „პარტია ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისია".

* * *

„ბოლშევიზმი 1903 წლიდან არსებობს, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია". ვ. ი. ლენინის ამ სიტყვებით იხსნება ლიტერატურის გამოფენა, რომელიც მოეწყო კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში.

დამთავლილებები ეკონომიურ რსდმპ II ყრილობის მასალებს, კომუნისტთა პარტიის — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის — შემდგომი მოღვაწეობის მასალებს.

სტენდებზეა ვ. ი. ლენინის ნამუშევრები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია კომუნისტური მშენებლობის, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის იდეურ-თეორიული საფუძვლები.

სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების მასალები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლა ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, მისი სტატია „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ზოგიერთი საკითხი" — ამ ყველაფერ ... ებებულია კომუნისტური მშენებლობის, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის იდეურ-თეორიული საფუძვლები.

სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების მასალები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლა ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, მისი სტატია „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირ

13 მაისი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები

საკლესიო იუწყება

ДЕВЕВАНДЕЛИ ДЕЛИС ПОЗИЦИЕБИДАН

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გულახდილი, დაინტერესებული სჯა-ბაასი გაიმართა კულტურის, მეცნიერების, განათლების დარგში რესპუბლიკის მიღწევებზე, მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე, საქართველოს კულტურის, უმაღლესი სკოლის მუშაკთა, მეცნიერთა წინაშე დასახულ ამოცანებზე, სტუდენტი ახალგაზრდობის დღევანდელ და მომავალ პრობლემებზე. რესპუბლიკის უფროსი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრაზე მოვიდნენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მინისტრები, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები.

შეხვედრის გახსნისას, თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ოკუჯავამ აღნიშნა, რომ ასეთი შეხვედრები კარგ ტრადიციად იქცა. ისინი ეხმარება უნივერსიტეტის მრავალთასიან კოლექტივს მუდამ იყოს რესპუბლიკის საერთაშორისო პრობლემების, დღევანდელი ცხოვრების, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საქართველოს მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანების კურსში.

შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ლენინური პრემიის ლაურეატი ნ. დუმბაძე, რესპუბლიკის განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი დ. ჩხიკვიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი, პროფესორი ი. ციცმანელი.

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს მნიშვნელოვან, სასიხარულო ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერული ცხოვრების, სიზალხო განათლების დარგში. მათ გააცნეს დამსწრეთ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კოლეგიტივისა და მისი სამეცნიერო ქვეგანაყოფების საქმიანობა, შეეხნენ ქართული საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს, აღნიშნეს, თუ რა დიდი მუშაობა მიმდინარეობს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციისათვის, იმსჯელეს საშუალო სკოლისა და უმაღლესი განათლების პრობლემებზე.

აღინიშნა, რომ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ქართულმა თეატრმა და კინომ, ლიტერატურამ და ფერწერამ, რესპუბლიკის მეცნიერთა წვლილმა მეცნიერების უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა განვითარებაში.

